



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო



**საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა
სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამა**

პროგრამის კოდი: 270601

**განმახორციელებელი უწყება: სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და
საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო**

სარჩევი

შესავალი	3
1. პროგრამის დასაბუთება.....	4
2. პროგრამის სამიზნე ჯგუფი	5
3. პროგრამის მიზანი.....	5
4. პროგრამის შედეგი	6
5. პროგრამის აღწერა.....	6
6. პროგრამაში მონაწილეობა.....	9
7. პროგრამის გავრცელების არეალი.....	11
8. პროგრამის ხანგრძლივობა	11
9. პროგრამის ბიუჯეტი.....	11
10. პროგრამის მონიტორინგი და შეფასება	12

შესავალი

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა (შემდგომში - დაბრუნებულ მიგრანტთა) სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის და სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის მხარდაჭერის საკითხი აქტუალური გახდა 2011 წელს საქართველოსა და ევროკავშირის შორის „უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“¹ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ.

საქართველოს, ევროკავშირთან დაახლოების გზაზე, დაბრუნებულ მიგრანტებზე ზრუნვა განესაზღვრა ვალდებულებად ისეთი ინსტრუმენტებით, როგორც იყო სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა და საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება.

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციული პროცესების მართვის კუთხით. დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის N810 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის“ (შემდგომში „მიგრაციის სტრატეგია“) ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს. დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება ასევე გათვალისწინებულია მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით (შემდგომში „სამოქმედო გეგმა“). 2015 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით დაიწყო სამშობლოში ემიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება. დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამის მიზანია ემიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეებისთვის ისეთი სერვისების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს მათი წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის პროცესს თვითდასაქმების პერსპექტივის შექმნით და საარსებო მდგომარეობის გაუმჯობესების გზით.

სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა წარმატებული, მდგრადი და გრძელვადიანი რეინტეგრაციის მიზნით, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის საფუძველზე, ახორციელებს „დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამას“ (შემდგომში - პროგრამა).

¹ 2010 წლის 22 ნოემბრის „შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირის შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 1 მარტს (ცებგვერდი, 110325003, 15/04/2011)

1. პროგრამის დასაბუთება

ევროკავშირის / შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ გაიზარდა საქართველოს მოქალაქეთა მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული შრომითი მიგრაცია და თავშესაფრის მოთხოვნის მაჩვენებელი. საქართველოს მოქალაქეების ნაწილი ხშირად კანონიერი საფუძვლის გარეშე რჩება და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გარკვეული გამოწვევების წინაშე დგება. ადაპტაციის სირთულე და რეინტეგრაციის პრობლემა, უბიძგებთ ხელახალი ემიგრაციისკენ.

ბოლო წლებში ინტენსიური ხასიათი მიიღო ქართველი მიგრანტების სამშობლოში დაბრუნების და საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში მათი რეინტეგრაციის ხელშეწყობის ღონისძიებებმა. გაიზარდა როგორც საქართველოს მოქალაქეების დეპორტაციის, ასევე მათი ნებაყოფილობით დაბრუნების მაჩვენებელიც. საქართველოსა და ევროკავშირს შორის „უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმების ფარგლებში სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება.

დაბრუნებული მიგრანტები წარმოადგენენ მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს, რომლებიც სახელმწიფოსგან განსაკუთრებულ მიდგომასა და მხარდაჭერას საჭიროებენ.² სწორედ დაბრუნების ხელშეწყობისა და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერას ემსახურება ეს პროგრამა, რაც გულისხმობს დაბრუნებულ მიგრანტთა ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სერვისებზე, მათ შორის სოციალური პროექტების დაფინანსებას საარსებო წყაროების გაჩენის მიზნით, თვითდასაქმების ხელშეწყობას სახელობო იარაღების შესყიდვის გზით და პროფესიული გადამზადებით, სამედიცინო დახმარებას და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფას.

მიგრანტებს, სამშობლოში დაბრუნებიდან 1 წლის განმავლობაში, შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამაში“. პროგრამის ფარგლებში მოხდება ინდივიდუალური მიდგომით მათი თვითდასაქმების ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანობის გაზრდა, საარსებო წყაროს გაჩენის პერსპექტივა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს შეუწყობს დაბრუნებულ მიგრანტთა მდგრად და გრძელვადიან რეინტეგრაციას და შეამცირებს არალეგალურ ემიგრაციაში მათი განმეორებითი გამგზავრების რისკს.

² „საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების საჭიროებების და გამოცდილების კვლევა“, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2020 წელი.

2. პროგრამის სამიზნე ჯგუფი

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები (საქართველოში მუდმივი ცხოვრების უფლებით), რომლებიც:

- საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ უწყვეტად ერთ წელზე მეტი ვადით: ან არალეგალურად, ან საზღვარგარეთ ჰქონდათ განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდნენ თავშესაფრით;
- სამშობლოში დაბრუნებიდან 1 წლის განმავლობაში დარეგისტრირდებიან „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამაში“ ჩართვის მიზნით.

დამატებითი პირობები:

- დაბრუნებულ მიგრანტს პროგრამაში რეგისტრაციის შემდეგ, პროგრამის ფარგლებში სარეინტეგრაციო სერვის(ებ)ით სარგებლობის საჭიროების დაფიქსირების შესაძლებლობა აქვს პროგრამაში რეგისტრაციიდან 1 წლის ვადაში. სოციალური ინიციატივების დაფინანსების ან ეკონომიკური აგენტის სუბსიდირების მისაღებად რეგისტრაცია გავლილმა დაბრუნებულმა მიგრანტმა უნდა წარმოადგინოს შევსებული განაცხადი სააგენტოს მიერ გამოცხადებულ პერიოდში, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ვებგვერდზე (www.idp.gov.ge).
- გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებით კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული ვითარების გამო, სააგენტოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილ რეინტეგრაციის პროგრამის ადმინისტრირების კომისიას (შემდგომში - კომისია) უფლება აქვს შეცვალოს პროგრამაში მონაწილეობის ვადები და/ან შეიტანოს სხვა დამატებითი ცვლილებები.

3. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, არალეგალურად მყოფი სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების და საქართველოში მუდმივი ცხოვრების უფლების მქონე მოქალაქეობის არმქონე პირების მხარდასაჭერად ისეთი სერვისების შეთავაზება, რომლებიც დაეხმარება მათ სამედიცინო-ფსიქოლოგიური, დასაქმებისა და თვითდასაქმების პრობლემების დაძლევაში, ხელს შეუწყობს მათ რეინტეგრაციას და შეამცირებს საზღვარგარეთ არალეგალურად მათი განმეორებით წასვლის ალბათობას.

4. პროგრამის შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს რეინტეგრაციის პროგრამის შესაბამისად, მოხდება წლიურად დაახლოებით 200 დაბრუნებული მიგრანტის რეინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სარეინტეგრაციო სერვისების შეთავაზების გზით.

5. პროგრამის აღწერა

პროგრამის ბიუჯეტის გათვალისწინებით, დაბრუნებული მიგრანტები, რომლებიც დარეგისტრირდებიან პროგრამის ბენეფიციარად სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში, მიიღებენ სარეინტეგრაციო დახმარების სერვისებს შემდეგი ოთხი მიმართულებით:

1. სამედიცინო დახმარება და/ან მედიკამენტების დაფინანსება

გამოკვეთილი სამედიცინო საჭიროების მქონე ბენეფიციარებისთვის:

- ინფორმაციის მიწოდება მოქმედი სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების შესახებ და აღნიშნულ პროგრამებში მათ ჩასართავად დახმარების გაწევა;
- მწვავე, ქრონიკული და/ან სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების მქონე პირებისათვის საჭირო სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფა, მათ შორის, მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება;
- ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.

ერთი ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურებისთვის განკუთვნილი თანხა უნდა იყოს არანაკლებ 50 ლარისა და ჯამში არაუმეტეს 1 000 (ერთი ათასი) ლარისა. ასევე, მედიკამენტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ერთეულს. იმ მედიკამენტების დაფინანსება, რომლებიც ბენეფიციარს ესაჭიროება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მოხდება კვარტალურად, დაბრუნებული მიგრანტის რეგისტრაციიდან ერთი წლის განმავლობაში.

სამედიცინო დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი რეინტეგრაციის პროგრამის სამედიცინო დახმარების ადმინისტრირების კომისია, რომლის წევრებად მოწვეულნი იქნებიან საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც.

სამედიცინო დაფინანსების მისაღებად საჭიროა სამედიცინო დოკუმენტაციის (ფორმა №IV-100/ა, ინვოისი და/ან სხვა) წარმოდგენა.

2. დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა

საზღვარგარეთ არალეგალურად მყოფი მიგრანტების დაბრუნებისთანავე, გამოკვეთილი საჭიროებების შემთხვევაში, ბენეფიციარის არაუმეტეს 6 დამით დროებითი განთავსების უზრუნველყოფა. საცხოვრებლით უზრუნველყოფა ასევე მოხდება საქართველოში დეპორტირებული მიგრანტების და საჭიროებისამებრ, განხორციელდება მათი აეროპორტიდან დროებითი განთავსების ადგილამდე გადაადგილების მიზნით ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

გამონაკლის შემთხვევებში, დამატებითი დახმარება შეიძლება გაეწიოს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბენეფიციარებს. ასეთ შემთხვევებს განიხილავს კომისია.

3. პროფესიული მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობა;
- პროფესიული სწავლების დაფინანსება.

პროფესიული სწავლების დაფინანსება მოხდება მხოლოდ იმ პირობების არსებობის შემთხვევებში, რომლებიც არ აძლევს საშუალებას ბენეფიციარს ისარგებლოს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამით“, და/ან იმ გარემოების გამო, რომ ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე, უმჯობესია ამ პროგრამის მიღმა ისარგებლოს პროფესიული სწავლების შესაძლებლობით.

პროფესიული სწავლების დაფინანსებისა და დაფინანსების პირობების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი რეინტეგრაციის პროგრამის პროფესიული სწავლების ხელშეწყობის ადმინისტრირების კომისია, რომლის ერთ-ერთ წევრად მოწვეული იქნება დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელი. განაცხადებს კომისია აფასებს შესაბამისი შეფასების

კრიტერიუმების მიხედვით (დანართი N7 პროფესიული მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა - განაცხადის შეფასების კრიტერიუმები“).

ერთი ბენეფიციარის პროფესიული სწავლების სრული კურსისთვის განკუთვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1 000 (ერთი ათას) ლარს, ამასთანავე კურსის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

4. სოციალური ინიციატივების დაფინანსება ან ეკონომიკური აგენტის სუბსიდირება

ბენეფიციარის პროფესიიდან, ცოდნიდან და კვალიფიკაციიდან გამომდინარე, შემოსავლის წყაროს გაჩენის, თვითდასაქმებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მოხდება სოციალურ-ეკონომიკური პროექტების (შემდგომში „პროექტი“) დაფინანსება.

პროექტების დაფინანსება შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალური (ერთი ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი) სახით, ასევე არსებულ ეკონომიკურ საქმიანობაში ბენეფიციარის ჩართვის/დასაქმების ფორმით. რამდენიმე ბენეფიციარის გაერთიანებით პროექტების დაფინანსება არ ხდება. ხმათა უმრავლესობით კომისია უფლებამოსილია დაფინანსების თანხა შეუმციროს ბენეფიციარს, როდესაც ის უკვე დასაქმებულია და/ან აქვს შემოსავალი, ასევე თუ ბენეფიციარს ან მის ოჯახის წევრს აქვს მიღებული რეინტეგრაციის მიზნით რაიმე სახის საშემოსავლო პროექტის დაფინანსების გრანტი ან კომისიამ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება ოჯახის წევრის პროექტის დაფინანსების შესახებ. ასევე, კომისია უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს ბენეფიციარის მიერ პროექტით მოთხოვნილი იმ ნივთების შეძენის დაფინანსების განაცხადი, რომელთა აუცილებელი საჭიროება ვერ დადგინდება. კომისია ასევე უფლებამოსილია შესთავაზოს განმცხადებელს რამდენიმე ნივთს შორის არჩევანის გაკეთება, როდესაც მოთხოვნილი ნივთების ჯამური თანხა ცდება დაფინანსების ლიმიტს. კომისიამ შეიძლება განმცხადებელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილოს და შესთავაზოს ნივთის შეცვლა, როდესაც არსებობს მაღალი ალბათობა, რომ ნივთის შეძენა ვერ მოხდება შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად.

ერთ ბენეფიციარს პროექტი დაუფინანსდება 4000 ლარის ფარგლებში და მხარდაჭერა შესაძლებელია, როგორც დამწყები, ასევე მიმდინარე საქმიანობის გაძლიერების მიზნით. თუ პროგრამის სხვა მიმართულებით განმცხადებელს უკვე მიღებული აქვს დახმარება, შესაბამისად შემცირდება პროექტის დაფინანსების მოცულობა.

პროგრამის ფარგლებში მოხდება არაუმეტეს 4000 ლარის ღირებულების ტექნიკა-დანადგარების და სხვა ძირითადი საშუალებების შესყიდვის დაფინანსება. 1000 ლარამდე ღირებულების ნივთების შესყიდვა მოხდება ვაუჩერისა და შესაბამისი სახელშეკრულებო

ურთიერთობების საფუძველზე, ხოლო 1000 ლარზე მეტი ღირებულების ნივთების შესყიდვა მოხდება „სახელმწიფო შესყიდვის კანონის“ შესაბამისად. შესყიდული ნივთების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ერთეულს და თითოეული ნივთის ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 250 ლარი. წარმოდგენილი პროექტების გათვალისწინებით, შესაძლებელია ტექნიკა-დანადგარებისა და სხვა ძირითადი საშუალების შეძენა შესაბამისი მომსახურების გაწევით.

სააგენტო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დააფინანსებს გამარჯვებული ბენეფიციარების მიერ განაცხადით (დანართი N2 სოციალურ-ეკონომიკური პროექტის გეგმა) მოთხოვნილი ნივთების შესყიდვას. შესაძლებელია თითოეულ ბენეფიციარისთვის შესყიდულმა ნივთების ჯამურმა ღირებულებამ გადააჭარბოს განსაზღვრული თანხის ზღვრებს, თუმცა, აღნიშნულმა გავლენა არ უნდა მოახდინოს პროგრამის ჯამურ ბიუჯეტზე.

პროგრამის ფარგლებში, შესაძენად მოთხოვნილი ნივთი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოს მასშტაბით. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები მიიღებენ მხარდაჭერას შემდეგი მიმართულებით:

- ა. სასოფლო-სამეურნეო ინიციატივები;
- ბ. თვითდასაქმებაზე ორიენტირებული არასასოფლო-სამეურნეო ინიციატივები.

6. პროგრამაში მონაწილეობა

პროგრამაში მონაწილეობისათვის, დაინტერესებულმა დაბრუნებულმა მიგრანტმა უნდა შეავსოს პროგრამის ფარგლებში შემუშავებული რეგისტრაციის ფორმა (დანართი N1) და თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინოს სააგენტოში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა ან შევსებული და დასკანერებული სახით გამოაგზავნოს სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: info@idp.gov.ge.

სრულყოფილად შევსებული რეგისტრაციის ფორმის და თანმდევი დოკუმენტაციის ჩაბარება შესაძლებელია სააგენტოს ტერიტორიულ სამმართველოებშიც, შემდეგ მისამართებზე:

1. ქ. გორი, სამების ქუჩა N1;
2. ქ. რუსთავი, ცურტაველის ქ. N5ა
3. ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. N27
4. ქ. ზუგდიდი, დ. აღმაშენებლის ქ. N106

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს განმცხადებლის პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი;

სოციალური ინიციატივის დაფინანსების ან ეკონომიკური აგენტის სუბსიდირების მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა შეავსოს დამატებით „განაცხადის ფორმა - სოციალურ-ეკონომიკური პროექტის გეგმა“ **დანართი N2**

განაცხადების წარმოდგენის, შემოწმების, განხილვის, შეფასების კრიტერიუმებისა და გამარჯვებულების გამოვლენის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია **დანართი N3-ში**.

სამედიცინო დახმარების და/ან მედიკამენტების დაფინანსების მისაღებად რეგისტრაციის ფორმის (**დანართი N1**) გარდა საჭიროა სამედიცინო დოკუმენტაციის (ფორმა №IV-100/ა, ინვოისი და/ან სხვა) წარმოდგენა.

პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარს შეუძლია პროგრამის ოთხივე მიმართულებით ისარგებლოს. ასეთ შემთხვევაში ჯამური დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 4000 ლარს თითოეულ ბენეფიციარზე (სოციალური ინიციატივების დაფინანსების ან ეკონომიკური აგენტის სუბსიდირების განაცხადით მოთხოვნილი ნივთების შეძენის შედეგად, შესაძლებელია თითოეულ ბენეფიციარისთვის შეძენილმა ნივთების ჯამურმა ღირებულებამ გადააჭარბოს განსაზღვრული თანხის ზღვრებს, თუმცა, აღნიშნულმა გავლენა არ უნდა მოახდინოს პროგრამის ჯამურ ბიუჯეტზე).

პროგრამის ფარგლებში არსებული სერვისებით სარგებლობის შესახებ დაბრუნებული მიგრანტების განაცხადები განიხილება კომისიის მიერ (გარდა დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფის შემთხვევისა). კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, არაუმეტეს 2 კვირის ვადაში, სააგენტოს დირექტორი გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. უარყოფითი გადაწყვეტილება განმცხადებელს ეცნობება წერილობით. სოციალური ინიციატივების დაფინანსების ან ეკონომიკური აგენტის სუბსიდირების კონკურსში გამარჯვებულად გამოვლენილთა სია ქვეყნდება³ ვებგვერდზე (www.idp.gov.ge), რაც ავტომატურად მიიჩნევა გამარჯვებულთათვის გამარჯვების შესახებ შეტყობინებად.

პანდემიის გამო შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლებელია კომისიის სხდომები ჩატარდეს დისტანციურად და კომისიის წევრებმა პოზიცია დააფიქსირონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

საჭიროების შემთხვევაში, დაბრუნებულ მიგრანტს შეიძლება განესაზღვროს ვადა არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ოდენობით და მოეთხოვოს მას განაცხადში ან/და რეგისტრაციის ფორმაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება, სავალდებულო ან დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა და/ან ინფორმაციის დაზუსტება. ამავდროულად, მოთხოვნილი დოკუმენტაცია პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის მიზნების

³ფიზიკური პირების შემთხვევაში გამოქვეყნდება ბენეფიციარის სახელი, გვარი და განაცხადის ნომერი; ეკონომიკური აგენტების შემთხვევაში - იურიდიული სახელწოდება

განხორციელებასთან. განმცხადებელს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია, რა მიზნით ხდება დოკუმენტაციის წარდგენა. აღნიშნულის თაობაზე, სააგენტოსა და განმცხადებელს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია როგორც წერილობითი, ისე სატელეფონო და ელექტრონული შეტყობინებით.

სააგენტოს ინტეგრაცია-რეინტეგრაციის სამსახური იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის / რეგისტრაციის ფორმის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ დაბრუნებული მიგრანტი არ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან განსაზღვრულ ვადაში არ აღმოფხვრა ტექნიკური ხარვეზი და/ან არ დააზუსტა და/ან არ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია.

7. პროგრამის გავრცელების არეალი

პროგრამა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

8. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა ხორციელდება ყოველწლიურად.

9. პროგრამის ბიუჯეტი

დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან. კომისია უფლებამოსილია განიხილოს სერვისებისთვის განკუთვნილი თანხის გადანაწილებაში ცვლილების შეტანის საკითხი. პროგრამის ბიუჯეტში ცვლილებები შეიძლება ასევე განხორციელდეს კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების გამო ან სხვა ფორს-მაჟორული მდგომარეობიდან გამომდინარე.

პროგრამის წლიური ბიუჯეტი წარმოდგენილია **დანართი N4** სახით.

10. პროგრამის მონიტორინგი და შეფასება

პროგრამის ფარგლებში, 2 წლის განმავლობაში საჭიროებისამებრ განხორციელდება როგორც პირველადი, ისე შემდგომი მონიტორინგი. პირველადი მონიტორინგის მიზანია, დადგინდეს მოთხოვნილი საჭიროებების რელევანტურობა. დაფინანსების შემდგომი მონიტორინგის მიზანია, შემოწმდეს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული დახმარების მიზნობრივად გამოყენების ფაქტი და შეფასდეს გაუმჯობესებული საარსებო მდგომარეობა. პირველადი მონიტორინგის ფორმა მოცემულია **დანართი N5** სახით.

პროგრამის შეფასება განხორციელდება ბენეფიციარებისთვის დახმარების გაწევიდან 2 წლის განმავლობაში. პროგრამის შეფასების მიზნით შემუშავებულია სპეციალური კითხვარი **დანართი N6** სახით.